პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 214 (10911) | სამშაბათი, 10 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ე პ ე შ ა

### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
### ამხანაგ გიორგი დამიანოვს
### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
### ამხანაგ ანტონ იუგოვს
### ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს
### ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს

ძვირფასო მეგობრებო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთელი საბჭოთა ხალხი გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ თქვენ და მოძმე ბულგარელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — ბულგარეთში ფაშისტური დიქტატურის დამხობის მე-13 წლისთავს — თავისუფლების დღეს.

ჩვენ უდიდესი სიხარულით აღვნიშნავთ, რომ განვლილ 13 წელიწადში ბულგარელმა ხალხმა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა დიდი წარმატებანი ბულგარეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. უმოკლეს ისტორიულ ვადაში მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ ჩამორჩენილი და უცხოეთის კაპიტალზე დამოკიდებული თავიანთი ქვეყანა გადააქციეს განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც სულ უფრო მტკიცდება.

ბულგარელი ხალხის გმირული შრომის შედეგად აშენდა ბევრი ახალი ქარხანა, ფაბრიკა, შახტი და ელექტროსადგური, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, მკვეთრად გადიდდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. მტკიცდება და ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. მშრომელი გლეხობა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა მეურნეობის მართვის კოოპერაციული სისტემის უპირატესობაში. კოოპერაციული წყობილება ახლა საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც ბულგარეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთადერთი სწორი გზა.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით განუწყვეტლივ უმჯობესდება ბულგარელი ხალხის კეთილდღეობა, ვითარდება მისი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

განუზომლად ამაღლდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი. თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების პოლიტიკას, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მხარდამხარ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა დაკავშირებული არიან ურღვევი ძმური მეგობრობით, რომელსაც ფესვები შორეულ ისტორიულ წარსულში აქვს გადგმული. ყოველ წელს ფართოვდება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ჩვენს ხალხებს შორის, მტკიცდება ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი.

მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა და პარტიათა დელეგაციების მიმდინარე წლის თებერვლის მოლაპარაკებას. მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობა ვითარდება და მტკიცდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებზე, თანასწორუფლებიანობისა და ძმური ურთიერთდახმარების, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. ჩვენ უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წარმატებით სრულდება მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი დეკლარაცია.

ნება გვიბოძეთ აღგითქვათ, ძვირფასო მეგობრებო, რომ საბჭოთა ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კარგი გულწრფელი მეგობრობა, რომელიც განმტკიცებულია ბულგარეთისა და რუსეთის საუკეთესო შვილების სისხლით ჩვენი ხალხების ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, კვლავაც განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ და მთელ ბულგარელ ხალხს შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

გაუმარჯოს ბულგარელ ხალხს და მის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის მეგობრობა!

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი |
|---|---|---|
| კ. ვოროშილოვი | ნ. ბულგანინი | ნ. ხრუშჩოვი |

1957 წლის 8 სექტემბერი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, სტამბის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან და მისი დაარსების 35 წლისთავთან დაკავშირებით, პრესაში ხანგრძლივი და აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, სტამბის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შემდეგი თანამშრომლები:

1. **ალტუნოვი** პეტრე ზაქარიას-ძე — გამომცემლობის უხუცესი მუშაკი
2. **გოგიჩაიშვილი** სიმონ ალექსანდრეს-ძე — სტამბის ცინკოგრაფი
3. **დავითაშვილი** მიხეილ დანიელის-ძე — რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე
4. **ელიაძე** ანა სტეფანეს ასული — რედაქციის საკორექტორო გამგე
5. **კოროლენკო** ვლადიმერ ივანეს-ძე — სტამბის უხუცესი სტერეოტიპიორი
6. **მანჯგალაძე** გიორგი მიხეილის-ძე — რედაქციის პრესის მიმოხილვის განყოფილების გამგე
7. **მურადოვი** მიხეილ კირიაკის-ძე — სტამბის ლინოტიპისტი
8. **მუხრანელი** გალინა ნიკოლოზის ასული — რედაქტორის მოადგილე
9. **პერელმანი** ლევ სოლომონის-ძე — რედაქციის ლიტერატურული მუშაკი
10. **პირადოვი** ლაზარე ანდრიას-ძე — რედაქციის კულტურის განყოფილების გამგე
11. **პრიხოდკო** ალექსანდრე სილას-ძე — გამსვლელი კორესპონდენტი
12. **ქიტოვსკაია** მარიამ პავლეს ასული — სტამბის უხუცესი ლინოტიპისტი, ამჟამად გამომცემლობის მუშაკი
13. **რაბინოვიჩი** არონ მარკის-ძე — რედაქციის მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქონელბრუნვის განყოფილების გამგე
14. **ჩხიკვიშვილი** ირაკლი იოსების-ძე — რედაქტორი
15. **ჩხუბიანი** ნინო ნიკოლოზის ასული — რედაქციის წერილების განყოფილების გამგის მოადგილე
16. **ხომერიკი** იური ივანეს-ძე — რედაქტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1957 წლის 9 სექტემბერი.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის შესახვედრად

## აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა



დიდი ოქტომბრის პირმშოა აფხაზეთის ინდუსტრიული ქალაქი ტყვარჩელი. მისი შახტები დედა-სამშობლოს აძლევენ შავ ოქროს — ქვანახშირს, მრეწველობის პურს. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში მუშაობენ მამაცი, თავდადებული ადამიანები. სურათზე გამოსახულია ამ ადამიანთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): თ. ნიკოლეიშვილი, ნ. ტალახაძე, შ. დუნდუა, ა. ჯოევი, ე. რუდოი, ნ. ხაჭაპურაძე და კ. კოზუა.

## მ ე გ ო ბ რ უ ლ ო ჯ ა ხ შ ი

ო. გოცირიძე,
საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. დღესასწაულისათვის მზადება — ეს არის ბრძოლა ახალი წარმატებებისა და მიღწევებისათვის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

აფხაზ ხალხს, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თვალს ავლებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან განვლილ გზას, შეუძლიათ თქვან, მართლაც რომ უდიდესი წარმატებებია მიღწეული, უხვია იმ შრომის ნაყოფი, რომელიც ხალხმა მოახმარა თავისი რესპუბლიკის აყვავების საქმეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის დახმარებით საბჭოთა აფხაზეთი გადაიქცა საბჭოთა სამშობლოს აყვავებულ კუთხედ განვითარებული სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, მაღალი კულტურით.

წარსულში დაბეჩავებული და უუფლებო განაპირა მხარე მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მოსახლეობის განათლებისათვის. ახლა ჩვენ გვაქვს 430 სკოლა, მათ შორის 96 საშუალო. ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართულ-რუსული, აფხაზური და სომხური პედაგოგიური სასწავლებლები ამზადებენ პედაგოგთა კადრებს. ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები უშვებენ სპეციალისტებს ჩვენი საწარმოებისათვის, მშენებლობებისათვის, კოლმეურნეობებისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობების აგებას. მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აგებულია სკოლის 7 ახალი შენობა, ორდარბაზიანი კინოთეატრი გაგრაში, შენდება კინოთეატრები გუდაუთსა და ოჩამჩირეში, მთავრდება საავადმყოფოსა და კულტურის სახლის მშენებლობა ოჩამჩირეში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების მეოხებით ბევრი რამ გაკეთდა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების კავშირი აერთიანებს 26 მწერალს, რომლებიც ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან. აფხაზეთის გამოჩენილი მწერლების დ. ი. გულიას, ს. ი. ჭანბას, ი. ა. კოღონიას, პოეტებისა და მწერლების ბ. ვ. შინკუბას, ი. გ. პაპასკირის, მ. დ. დგებუაძის, შ. ს. აკობიას და სხვების ნაწარმოებები მკითხველთა სიყვარულით სარგებლობს და თარგმნილია ბევრ ენაზე. თუ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთადერთი გაზეთი იყო, რომელიც რუსულ ენაზე გამოდიოდა, ახლა ჩვენში გამოდის 3 საოლქო, 7 რაიონული და საქალაქო გაზეთი აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე, გამოდის ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ალაშარა“, საბავშვო ჟურნალი „ამცაბზი“, რეგულარულად გამოდის ლიტერატურული ალმანახები ქართულ და რუსულ ენებზე. აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს 50-მდე სახელწოდების მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს.

სოხუმში შექმნილია სახელმწიფო დრამატული თეატრი ქართული და აფხაზური დასებით, რომლებიც კლასიკურ რეპერტუართან ერთად წარმატებით დგამენ ადგილობრივ დრამატურგთა პიესებს. აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონია დიდ მუშაობას ეწევიან ხალხური ხელოვნების პოპულარიზაციისათვის.

აფხაზეთი განთქმულია თავისი კურორტებით. გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის, სოხუმის, გულრიფშის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, თვალწარმტაცი ბზიბის ხეობა და რიწის ტბა დიდი პოპულარობით სარგებლობენ დამსვენებელთა შორის. ყოველწლიურად იზრდება რიცხვი საბჭოთა და საზღვარგარეთელი ტურისტებისა, რომლებიც ჩვენს მხარეს ნახულობენ. აფხაზეთში მუშაობს 24 სანატორიუმი და 12 დასასვენებელი სახლი, რომლებშიც ადგილების საერთო რაოდენობა 5.500-ს უდრის. მათ შეუძლიათ წელიწადში მოემსახურონ 98.000 კაცს. გარდა ამისა, დამსვენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სარგებლობს „კურსოვკებით“, პანსიონატების, ტურისტული ბაზების მომსახურებით.

თუ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებითად არავითარი მრეწველობა არ ყოფილა, ახლა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საწარმოები ყოველწლიურად ერთ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქციას უშვებენ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოწყობილია შახტები და აშენებულია ახალი სოციალისტური ქალაქი ტყვარჩელი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი გახდნენ. აფხაზეთში 7 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, გვყავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი კვალიფიციური რაზმი. გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საერთო ფულადმა შემოსავალმა 314,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა, 1955 წელს კი იგი 286,5 მილიონს შეადგენდა. ამავე ხნის განმავლობაში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი 443,5 მილიონიდან 461,9 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. შრომადღის საშუალო ღირებულებამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა 15 მანეთი და 22 კაპიკი, ნაცვლად 1955 წლის 11 მანეთისა და 60 კაპიკისა. ისეთ მოწინავე კოლმეურნეობებში, როგორიც არის გალის რაიონის სოფელ ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტი“, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფში“, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, შრომადღის ღირებულება შეადგენდა 35-დან 45 მანეთამდე.

სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე, წარმოების მეთოდების გაუმჯობესებაზე, ახალი ჯიშების გამოყვანაზე, მოწინავე აგროტექნიკური კულტურის დანერგვაზე მუშაობენ რესპუბლიკაში არსებული 8 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სასელექციო სადგურები და დასაყრდენი პუნქტები.

წელს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ეჯიბრებიან აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელებს, კარგ შედეგებს მიაღწიეს. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დროულად, აგროტექნიკური ვადებისა და წესების დაცვით შესრულდა. მაგრამ ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა, ხანგრძლივმა გვალვამ სერიოზული გავლენა მოახდინა ცალკეული კულტურების, კერძოდ, ჩაისა და სიმინდის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველ ღონისძიებას იღებენ, რათა უზრუნველყონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც 1956 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება თამბაქოს წარმოების გადიდების შესახებ, ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ ოლქში ამ ძირითადი კულტურის განვითარებისათვის. ვცდილობთ ქვეყანას მივცეთ რაც შეიძლება მეტი სახელგანთქმული აფხაზური „სამსუნი“. გასულ წელს, მიუხედავად განსაკუთრებით ცუდი ამინდისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მოგვცეს 100 ტონით მეტი თამბაქო, ვიდრე 1955 წელს. მიმდინარე წელს თამბაქოს რგვა ყველგან დაწესებულ ვადაზე ადრე დამთავრდა. პირველი სექტემბრისათვის უკვე შეტეხილი და აწყობილია თამბაქოს 57,6 პროცენტი, მაშინ როცა გასული წლის ამავე დროისათვის შეტეხილი და აწყობილი იყო 26,9 პროცენტი.

ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩაის. მწვანე ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობიდან — 120.000 ტონიდან, რაც საერთოდ საქართველოში უნდა დამზადდეს, ჩვენ უნდა ჩავაბაროთ 19.930 ტონა ანუ რესპუბლიკის მთელი გეგმის ერთი მეექვსედი. უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა გაწეული ჩაის პლანტაციების წესრიგზე მოსაყვანად. მარტო 1956 წელს გაწმენდილ და აღდგენილ იქნა წინათ თავმინებებული 2.700 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაციები. მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს პლანტაციების მოვლის გასაუმჯობესებლად, სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის, უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია და უახლოეს წლებში მიღწეულ იქნას ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება.

ბევრი მუშაობა დაგვჭირდება მეციტრუსეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. აფხაზეთი წარმოუდგენელია ისე, რომ იქ ციტრუსოვანთა ბაღები არ იყოს. აფხაზეთის ბაღებში მოყვანილი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი უნდა ამშვენებდეს საბჭოთა ადამიანების სუფრას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. ამიტომ უკეთ და უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ციტრუსებზე, არ გავიმეოროთ მათ განვითარებაში წინათ დაშვებული შეცდომები, გავაძლიეროთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესი ამ მნიშვნელოვანი კულტურისადმი. აუცილებელია უზრუნველვყოთ მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარება.

ჩვენი მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი კვლავ მეცხოველეობაა. ჯოგის არასწორმა სტრუქტურამ, სულადობის გეგმების შეუსრულებლობამ, საკვები ბაზის შექმნისათვის არასათანადო ზრუნვამ გამოიწვია დიდი ნაკლოვანებები და ჩავარდნები ამ დარგში. ჯოგის კლების შევსება არ ხდება ბუნებრივი მომრავლებით, დაბალია პროდუქტიულობა, დიდია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშა-პირუტყვს, ურომლისოდაც აფხაზეთის პირობებში შეუძლებელია მეურნეობის წარმატებით გაძღოლა.

პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებათა საფუძველზე კრიტიკული ანალიზი გაუკეთა მეცხოველეობის განვითარების საქმის მდგომარეობას და დასახა ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, ვიღებთ ღონისძიებებს ჯოგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სულადობის გასადიდებლად, საკვები ბაზის შესაქმნელად, მეფრინველეობის, მეთხეობისა და მეფუტკრეობის განსავითარებლად. გათვალისწინებულია განსაკუთრებული ღონისძიებანი იმისათვის, რომ წელს მეცხოველეობა უზრუნველყოფილ იქნას საკვებით.

აფხაზეთი პატარა, მაგრამ მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ ერთიან მეგობრულ ოჯახში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის თავდადებით შრომობენ აფხაზები და ქართველები, რუსები და უკრაინელები, სომხები და ბერძნები და ბევრი სხვა. აფხაზი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ისინი საუკუნეთა მანძილზე ერთად ავითარებდნენ თავიანთ კულტურას, ერთიან ოჯახში ხვდებოდნენ ჭირსა და ლხინს, ერთად იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას უცხოელი დამპყრობლებისაგან. მაგრამ იყვნენ ადამიანები, ჩვენი ხალხის მტრები — ბერია და მისი მსგავსნი, რომლებსაც სურდათ შუღლი ჩამოეგდოთ ხალხებში, ძირი გამოეთხარათ ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველთა საფუძვლისათვის — ხალხთა მეგობრობისათვის. მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დახმარებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოსპეს ეროვნული პოლიტიკის იმ დარღვევათა შედეგები, რომელთაც წინათ ჰქონდა ადგილი.

რესპუბლიკაში არსებობს აფხაზური სკოლების ფართო ქსელი, მოგვარებულია აფხაზურ ენაზე ახალი ჟურნალებისა და წიგნების გამოშვება, შექმნილია საბჭოთა მწერლების კავშირი, გახსნილია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამამაღლებელი ინსტიტუტის ფილიალი. გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე ადგილობრივი კადრების დასაწინაურებლად. ახლა ხალხის საქმის ყოველი ერთგული ადამიანისათვის ნათელია, რომ კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებულმა ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის შეკავშირებას, აფხაზ, ქართველ, რუს და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსახლე სხვა ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არის. ყოველივე ეს კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ჩვენს ხალხებს, განამტკიცებს ურთიერთგაგებასა და მეგობრობას, ხელს უწყობს წარმატებით წინსვლას. მაგრამ სწორი არ იქნებოდა შეგვესუსტებინა ყურადღება მასებში იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობის საკითხებისადმი, მიგვეჩნია, თითქოს აღარ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მოწამლონ მეგობრობის ატმოსფერო, ძირი გამოუთხარონ ჩვენს ერთიანობას. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ, სასწავლებლებმა, სამეცნიერო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გააძლიერონ ბრძოლა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო შოვინიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ვისი მხრიდანაც და რა ნიღბითაც უნდა იჩენდნენ ისინი თავს.

აფხაზეთის შემოქმედებითი ორგანიზაციები, ჩვენი ადმინისტრაციული და სამეურნეო მუშაკები, საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, მტს-ები გრძნობენ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველობასა და დახმარებას. კარგი მეგობრობა და შეჯიბრება დამყარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კულტურისა და წარმოების სხვადასხვა დარგების მუშაკებს შორის; გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვის კოლმეურნეებმა ამას წინათ სტუმრად მიიღეს საგურამოელი კოლმეურნეები, რომლებთანაც მათ შეჯიბრება აქვთ და ფიქრობენ სასურველ სტუმრებად ეწვიონ საგურამოელებს დიდი მწერლის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში. ჩვენთან, სოხუმში, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში რეგულარულად ჩამოდიან მეცნიერები, მუსიკოსები, რეჟისორები, მსახიობები თბილისიდან და საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან, ხელს უწყობენ აფხაზეთის ახალგაზრდა კულტურისა და ხელოვნების შემოქმედებითს და იდეურ ზრდას. და ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს, საბჭოთა საქართველოში და მის შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლე ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობისა და საუკეთესო გულითადი გრძნობების მკაფიო დემონსტრაცია იქნება.

დაე ჰყვაოდეს და მშვენიერდებოდეს, ახალ წარმატებებს აღწევდეს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — საბჭოთა აფხაზეთი. დაე იგი საქართველოს სსრ ერთიან და ურღვევ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მიდიოდეს წინ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, ახალი მიღწევებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-40 წლისთავს.

# ოქტომბრის მზის ქვეშ, ხალხთა მეგობრობის დროშით

* * *

**დიმიტრი გულია**
აფხაზეთის სახალხო პოეტი

## პ ა რ ტ ი ა

ვიცი, ბუნების მრისხანე ძალა
გოლიათ ქედებს შეუცვლის ალაგს...
მაგრამ ეს ძალა ვერ შეედრება
პარტიის ძალას, პარტიის ნებას.

ვიცი, ქვეყნად თუ რა უხვად არის
ზღვები—ბუნების ნაოსტატარი...
მაგრამ პარტიის მტკიცე მარჯვენამ
შესძლო ახალი ზღვების გაჩენა.

აი, მზე ხმელეთს ანათებს, ათბობს,
მაგრამ პარტიას — უდიდეს მნათობს,
მეტი აქვს ძალა; ღამით თუ დღისით
გულებში გვწვდება სინათლე მისი.

უსაზღვროდ ვრცელი არის სამყარო,
ის სიდიადით რას შევადარო?

მისებრ უსაზღვრო და დიადია
გრძნობა, რომლითაც გვიყვარს პარტია.

ხშირად, ბუნების სიზუსტე გვიკვირს;
ბნელ ღამეს მოსდევს ნათელი ცისკრის...
მისებრ ზუსტია პარტიის აზრი,
პარტიის სიტყვა — მარადჟამ ბასრი.

უფრო სრულყოფილს რას შევადარო
პარტია—დიდი ცხოვრების წყარო;
რომ მისი შუქი არ ადგეს სვეტად
გაცივდებოდა ჩვენი პლანეტა.

თარგმანი აფხაზურიდან
**შ. აკობიასი.**

# აფხაზეთის მრეწველობა აღმავლობის გზაზე

რევოლუციამდელი აფხაზეთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, განსაკუთრებით მრეწველობის განვითარების მხრივ. საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა კუსტარული იყო, თითო-ოროლა [illegible]

ნაგებობა ამშვენებს.

დიდი ყურადღება ექცევა მდინარეთა რესურსების გამოყენებას ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. უკანასკნელ ხანს აშენდა და ამუშავდა ახალი ჰიდროელექტროსადგურები: სოხუმჰესი, ბალნარჰესი, დურიფშჰესი, აგრეთვე ბევრი საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური.

ხორციელდება შემდგომი რიგის სამუშაოები ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობისათვის, რის შემდეგ ამ სადგურის სიმძლავრე ორნახევარჯერ გადიდდება.

გადიდდა სოხუმის ს. ორჯონიკიძის [illegible]

ჭერის ორი კოლმეურნეობა, თევზჭერის მოტორიანი სადგური. 1956 წელს დაჭერილ იქნა ერთიორად მეტი თევზი, ვიდრე 1955 წელს.

დიდი ყურადღება ექცევა ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოებას. სოხუმსა და გაგრაში ხორცის კომბინატები არსებობს. შესრულებულია სამუშაოები ტექნოლოგიური პროცესების, ძეხვეულისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოების მექანიზაციისათვის. მნიშვნელოვნად გადიდებულია სამაცივრო მრეწველობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში გადაცემულია კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები: პურის ცხობისა, ღვინო-არყისა, საკონდიტრო, ლუდისა, უალკოჰოლო სასმელებისა, რძისა და სხვ.

მრეწველობის მართვის გარდაქმნის შემდეგ აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით პროდუქციის გამოშვების მოცულობა სამჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

ახლა აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობა ფართო მოხმარების 100-ზე [illegible]

სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ალსანიშნავად გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა აფხაზეთის მრეწველობამ 105,4 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 25 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 7,7 პროცენტით გადიდდა.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მზად არიან ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

**გ. ჯოხთაბერიძე,**
აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი.

# სტუმართმოყვარე მხარე

ვინ არ მოხიბლულა მზიური აფხაზეთის ულამაზესი პეიზაჟით, ვის არ დახსომებია აქ გატარებული დღეები. საყვარელი აფხაზეთი! მზისა და სინათლის, ზღვისა და მთების მხარე.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი წლიური დაძაბული შემოქმედებითი შრომის შემდეგ ეს რამდენიმე წელიწადია ყოველთვის აქეთკენ მოვეშურებით, რომ კონსტიტუციით მონიჭებული დასვენების უფლება სწორედ აქ გამოვიყენოთ. ჩვენი აფხაზეთი! — ასე ვიტყვით ხოლმე აფხაზი ხალხისადმი ძმური სიყვარულით, მეგობრობის უანგარო გრძნობით. ჩვენ აქ მარტო ბუნება როდი გვხიბლავს აქეთკენ გვიზიდავს მოძმე პატარა, მაგრამ სახელოვანი და საყვარელი ხალხის სტუმართმოყვარული გულგახსნილობა, ასე გვგონია, თითქოს ძმებთან მოვდივართ, ალალ ძმებთან. ჩვენ ახლა გაგრაში ვისვენებთ, ცნობილ სანატორიუმ „უკრაინაში“. აქ კარგია, ძალიან კარგი, მაგრამ განა შეიძლება ისვენებდე ერთ რომელიმე სანატორიუმში ან დასასვენებელ სახლში და არ გაეცნო მთელ აფხაზეთს, ამ ნამდვილ თაიგულს? და აი ჩვენთვის უკვე ნაცნობი და მახლობელია სოხუმი და გუდაუთი, გულრიფში და ახალი ათონი, ჩვენ მოვხიბლულვართ რიწის ტბის განუმეორებელი მშვენიერებით, ვყოფილვართ ახლომახლო კოლმეურნეობებშიც, დავმეგობრებულვართ სახელოვან კოლმეურნეებთან... ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა ადამიანების ურთიერთ მეგობრობის ნამდვილი განსახიერებაა ჩვენთვის აქ გატარებული დღეები. და განა მარტო ჩვენთვის! ვის არ ნახავთ აქ, საიდან, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს რომელი კუთხიდან არ ჩამოდიან დასასვენებლად — მეცნიერები და მასწავლებლები, მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა არმიის მეომრები და ვინ მოთვლის პროფესიებს, რომელთა მქონე ადამიანებიც აქ ისვენებენ. ზაფხულია თუ შემოდგომა, ზამთარია თუ გაზაფხული, აფხაზეთის კურორტებზე მუდამ მრავალი ხალხია.

ერთი წინადადებით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი მადლობა აფხაზეთისადმი:

დიდება შენს მზეს, საყვარელო მხარევ, დიდება შენს მკვიდრთ, ვინც ბუნების ესოდენ დიდი ჯილდო მშრომელთა სამსახურში ჩააყენა — დიდება აფხაზეთის ჯანმრთელობის კერებს.

**დანიელ ხემენენკო** — ინჟინერი, სტალინოს კოქსოქიმიური ქარხნის დირექტორი, **ვიქტორ გეიერი** — პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **სამუელ კუტიკოვი** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

# ოცდაექვსი წელი ბრიგადირად

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გალის რაიონის სოფელ ოქუმის მოსახლეობა გაჭირვებულად ცხოვრობდა. აქ იშვიათად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნე კაცი.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად გლეხმა მიიღო თავისუფლება, მიწა. აი აქედან მოყოლებული იწყება გლეხის ადამიანური ცხოვრება.

1928 წელს კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობის ეკონომიკა. ამჟამად კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი 8 მილიონ მანეთს აღემატება. უმჯობესდება კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობები, მაღლდება სოფლის კულტურა. ამჟამად სოფელში არის საშუალო და დაწყებითი სკოლა, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, აფთიაქი, სასტუმრო, სასადილო, ფოსტა. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

ჩვენს კოლმეურნეობას აქვს მრავალდარგოვანი მეურნეობა: ჩაი, თამბაქო, ციტრუსები. სულ შექმნილია 21 მემინდვრეობის ბრიგადა. ერთ მათგანს მე ვხელმძღვანელობ 1931 წლიდან, სწორედ იმ დღიდან, რაც კოლმეურნეობაში შევედი. ჩემს ბრიგადას მომაგრებული აქვს 15 ჰექტარი სიმინდი, 12 ჰექტარი ჩაი. გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 75 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერისა. პირადად მე ერთ ჰექტარზე მივიღე 135 ცენტნერი სიმინდი. დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ ჩაის მოსავლიანობის გეგმაც.

წელს კიდევ უკეთ ვიმუშავეთ, სიმინდის ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში შევასრულეთ, თავის დროზე შევიტანეთ სასუქი. ყოველივე ამის შედეგად მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს. ჩავებით რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვიკისრეთ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა. მე პირადად ვიკისრე ჩემთვის მომაგრებულ ერთ ჰექტარ ფართობზე მივიღო 150 ცენტნერი სიმინდი.

ჩემი ცხოვრებისა და მუშაობის პერიოდში დავრწმუნდი, რომ სიმინდი საუკეთესო კულტურაა. თუ სიმინდის მაღალ მოსავალს მიიღებ, ეს იმას ნიშნავს, რომ გექნება მეტი ხორცი, რძე, კარაქი.

სპეციალისტების დახმარებით სისტემატურად ვსწავლობდი სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას, ვეცნობოდი მოწინავეთა გამოცდილებას. ყოველივე ამის შედეგად ყოველწლიურად ვიღებ სიმინდის სარეკორდო მოსავალს. პარტიამ და მთავრობამ ჩემს შრომას მაღალი შეფასება მისცეს: მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო შემდეგ გავხდი სტალინური პრემიის ლაურეატი. 1937 წლიდან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ.

ოქტომბრის მზით გაბრწყინებულ ქვეყანაში თავისუფლად შრომობს ყველა, თავისი უნარისა და ცოდნის მიხედვით, თავდადებული, პატიოსანი შრომით ყველას შეუძლია პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს.

**ჩოქოლი ქვარახია,**
გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი. სტალინური პრემიის ლაურეატი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

* * *

# შრომა ღირსების საქმეა



მუდამ სინანულით მოვიგონებ ხოლმე მამაჩემ ფატკირს. რატომ ვერ მოესწრო ამ ბედნიერ ცხოვრებას, რატომ ერთხელაც არ გაუხარია. განა იმაზე ნაკლებად შრომობდა, ვიდრე მე და ჩემი თანასოფლელები ახლა ვშრომობთ? მახსოვს, რა ჯაფას ეწეოდა თავად ჩიჩბას მიწაზე, რომ მოსავლის მცირე ნაწილი მაინც მიეღო. აბა რას გაიხარებდა გლეხი იჯარით აღებულ მიწაზე. მიწა და მისი შემოსავალი სხვისი იყო, შრომა კი მამაჩემისა. ეს წყეული ტრადიცია მეც გადმომეცა, მერე მე ვამუშავებდი ჩიჩბას მიწას, რომ ცოტა სიმინდი მაინც მრგებოდა. აი ამ ადგილას, სადაც ახლა მე და ჩემს შვილებს ლამაზი ორსართულიანი სახლი და სხვა ნაგებობანი გვაქვს წამოჭიმული, მამაჩემს აფხაზური წნული ფაცხა ედგა. ჩემი ბავშვობა და ჭაბუკობაც იმ ფაცხაში გამიტარებია.

მახსოვს, ორმოცი წლის წინათ, როგორც თოფის გასროლით ჰაერი შეირხეს, ისე დაირხა ჩვენს სოფელ ლიხნში ხმა — რუსეთში რევოლუცია მოხდა და ახლა ქვეყნის მმართველი მშრომელები არიანო, მშრომელების მოსარჩლე ლენინი უდგას ახლა ქვეყანას სათავეში და თავისუფალი ცხოვრება იწყებაო. ჩვენში მაშინ კვლავ გრძელდებოდა აფხაზი თავადებისა და მემამულეების ბატონობა, მენშევიკები სულს გვხდიდნენ გადასახადებით, შრომას შედეგი არ მოჰქონდა, თითქოს ყველაფერი წყალში გვეყრებოდა.

მაგრამ აი შემოიჭრა ჩვენს აფხაზეთშიც ოქტომბრის რევოლუციის ქარი, მიწისაგან პირისა აღგავა ჩაგვრა და მონობა, დაამყარა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. აი აქედან მოყოლებული ხარობს და იფურჩქნება, ბედნიერად ცხოვრობს ჩემი სოფელი ლიხნი.

შვიდი ათეული წლის ასაკი მაწევს მხრებზე. მაგრამ მაინც ყოჩაღად ვარ. ცოლით, შვილებით და შვილიშვილებით ბედნიერად ვცხოვრობ.

ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი შეძლებული და ძლიერია გუდაუთის რაიონში. იგი მილიონერია. მას ხელმძღვანელობს ჩვენი თანასოფლელი მანჩა საქანია. მიხარია, რომ ამ კოლმეურნეობის საერთო საქმიანობაში ჩემს ოჯახს თავისი წვლილი შეაქვს. ჩემი უფროსი შვილი გრიგოლი მერვე ბრიგადის ხელმძღვანელია. მას 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 21 ჰექტარი სიმინდის ფართობი აბარია. მისი ბრიგადა მოწინავედ ითვლება კოლმეურნეობაში.

მე შემეჯიბრა ჩემი გრიგოლი, თითქოს ამ ჩემს დიდ სახლში არ დავეტეოდით! პატარა ხომ არა ვარ, მამისეულ სახლში ვიცხოვრობო, ადგა და დანაზოგი ფულით, აგერ ჩემს მეზობლად მშვენიერი სახლი აიგო. მომდევნო შვილები შურა, ნიურა და ნიკოლოზი კოლმეურნეობაში მუშაობენ. შურა მოწინავე მეჩაიეა. დღეში 60-70 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს. მეც არ ჩამოვრჩები შვილებს — მოხუცებულობის მიუხედავად სიმინდის ფართობში ვმუშაობ. ჯერ 75 შრომადღე მაქვს, წლის ბოლომდე ერთი ამდენიც მექნება.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ამახწინანდელი დღე — აქ, ლიხნში, ჩემს სახლში [illegible]

შრომა ასე რომ გვიფასდება. შრომა ღირსების საქმეა.

**ალექსი გერზმავა,**
გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის წევრი.

* * *

სურათზე: ალექსი გერზმავას ოჯახი.

# შემოსავლის დიდი წყარო

მთელ აფხაზეთში თამბაქოს მოსავლის 30-მდე პროცენტი გულრიფშის რაიონზე მოდის. ეს გულრიფშელ მეთამბაქოეებს გვავალებს თავდადებით ვიბრძოლოთ ამ ძვირფასი კულტურის მაღალი მოსავლისათვის, მივცეთ ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქო.

1933 წლიდან ვხელმძღვანელობ დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობას. ჩვენს კოლმეურნეობაში თამბაქოს 135 ჰექტარი ფართობი უჭირავს და იგი შემოსავლის მთავარი წყაროა. ასე მაგალითად, შარშან მიღებული 5.800.000 მანეთის საერთო შემოსავლიდან 4.100.000 მანეთი თამბაქომ მოგვცა.

მოგვყავს სამსუნის ჯიშის ეგრეთწოდებული № 955 თამბაქო, რომელიც უხვმოსავლიანია და ცნობილია თავისი არომატით.

ჩვენი კოლმეურნეობა ჩაბმულია დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელს ვიბრძვით 150 ტონა თამბაქოსათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 132 ტონისა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 9,8 ცენტნერის ნაცვლად 14 ცენტნერი თამბაქოს მოსავალი მივიღეთ.

თამბაქოს მაღალი მოსავლის ბევრი ოსტატი გაიზარდა კოლმეურნეობაში. აღსანიშნავია ახალგაზრდა მეთამბაქოეს ალექსანდრე როგანიანის წარმატება. იგი სულ რაღაც ერთი წელია ხელმძღვანელობს მესამე ბრიგადას და შრომა საუკეთესოდ მოაწესრიგა. წელს ნაცვლად 150,000 ზონარმეტრისა 180.000 ზონარმეტრი თამბაქო მოკრიფა. მის ბრიგადას 13 ჰექტარი თამბაქო აქვს გაშენებული.

დიდ წარმატებას აღწევს კოლმეურნე არამ კაბასაკალიანი. მის ოჯახს მოსავლელად მიჩენილი აქვს 0,6 ჰექტარი თამბაქოს და 0,4 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. წელს კაბასაკალიანის ოჯახმა უკვე შეტეხა 7.500 ზონარმეტრი თამბაქო. 750 ზონარმეტრს კიდევ აიღებს.

თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში წინ მიდის აგრეთვე მერვე ბრიგადა, რომელსაც არდაშ მარტიროსიანი ხელმძღვანელობს. მან წელს გეგმით 200.000 ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეტეხოს, უკვე შეტეხა 210.000 ზონარმეტრი, კიდევ 10.000 ზონარმეტრი აქვს ასაღები.

დიდმა ოქტომბერმა, საბჭოთა, საკოლმეურნეო წყობილებამ შეძლებული და კულტურული გახადა სოციალისტური სოფელი. ახლა ჩვენი სოფლის ყველა საზოგადოებრივი შენობა ილიჩის ნათურებით არის გაშუქებული, ყველა კოლმეურნეს აქვს რადიო, გვაქვს ელექტროწისქვილი, სახერხი ქარხანა, სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა. ყოველ კვირას უჩვენებენ კინოს.

კოლმეურნეთა ოჯახები შეძლებულად ცხოვრობენ. კოლმეურნე ტიგრან შიბულიანის ოჯახმა შარშან მარტო ფულად 50.000 მანეთი მიიღო და შესანიშნავი ორსართულიანი სახლი აიშენა. აქ ბევრია ასეთი ოჯახები.

ჩვენი კოლმეურნეობა ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

**ს. მარქარიანი,**
გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის ს. შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

# ოქტომბრის სხივით გარემოსილი

საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილის თვალით რომ გადავხედავ მძიმე წარსულს და ბედნიერ აწმყოს, გული სიხარულით მევსება — დიდი ხანია ვიმკით ამ ბრძოლების ნაყოფს. თავისუფალი, შრომის ხალისით გასხივოსნებული, შეძლებული და კულტურული ცხოვრებაა დამკვიდრებული აყვავებული აფხაზეთის საკოლმეურნეო სოფელში. აი ერთ-ერთი სოფელი ზემო ბარღები.

აქ ჩემს თანასოფლელებთან ერთად მეც მიმიღია მონაწილეობა მამაპაპური მიჯნების წაშლაში, კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში ოცდაექვსი წლის წინათ. იმ დღეებიდან მოყოლებული ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ. მას სოფელმა „გიგანტი“ დაარქვა. ეს სახელწოდება რომ გაემართლებინა ჩვენს კოლმეურნეობას, ცოტა შრომა კი არ დაგვჭირვებია. ახლა იგი ნამდვილად გიგანტია თავისი მრავალფეროვანი, მრავალდარგოვანი მეურნეობით. ჩვენი კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი რვა მილიონ მანეთს აღწევს. ამ შემოსავალს გვაძლევს ჩაის კულტურა, სიმინდი, დამხმარე მეურნეობები, მეცხოველეობა. თუ აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გლეხს თვალით არ უნახავს ჩაის ბუჩქი, ახლა ამ ძვირფას კულტურას 335 ჰექტარი ფართობი უჭირავს, რომლიდანაც 239 ჰექტარი სრულმოსავლიანია. კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის ზრდამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ აამაღლა მის წევრთა შეძლებულობა. ჩვენი სოფლის ხანშიშესულ მცხოვრებთ კარგად ახსოვთ გუგუ მირცხულავას ოჯახის ხელმოკლეობა წარსულში. ახლა მას ორსართულიანი მშვენიერი ოდა აქვს წამოჭიმული. რატომაც არ წამოჭიმავდა — შარშან მისმა ოჯახმა მარტო ფულად 69 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. დიდი შემოსავალი აქვთ რადიონ უბილავას, იასონ პაპასქუას, კოჭოია გულორდავას, ისიდორე შამუგიას და მრავალი



ი. ახალაია.

* * *

სხვა კოლმეურნის ოჯახებს. ახლა ზემო ბარღები დაბას მოგაგონებთ, პატარა ქალაქისაგან ძნელად გაარჩევთ. სოფელში გვაქვს სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, კულტსახლი, რადიო, ელექტროშუქი, ტელეფონი და რადიომიმღებები, ელექტროწისქვილი, მექანიკური სამხერხაო, კეთილმოწყობილი გზები და ქუჩები, ლამაზი სახლები... ეს ყველაფერი საკოლმეურნეო წყობილების წყალობით გვაქვს.

ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ პარტიის მითითებებს იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანში უნდა დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ჩვენ მექანიზებული ფერმა გვაქვს, გვყავს 80 მეწველი ძროხა, აქედან 21 ჯიშიანია, საერთოდ კი 52 სული ჯიშიანი პირუტყვი გვყავს. მეცხოველეობა ჩვენში მზარდი დარგია — მას კარგი ბაზა აქვს საამისოდ. წელს წარმატებით ვასრულებთ მეცხოველეობის დარგში ყველა გეგმას. სილოსი საკმაოდ ჩავდეთ, ზამთრისათვის საკვებს ვიმარაგებთ.

ზემო ბარღები—უწინ ჩამორჩენილი და წერა-კითხვის უცოდინართა სოფელი — დღეს ერთ-ერთი მოწინავე და კულტურული სოფელია გალის რაიონში. მარტო უმაღლესი განათლების მქონე 50 ადგილობრივი მკვიდრი მუშაობს სოფელში, არ არის ოჯახი, რომელშიც უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე წევრი არ იყოს.

შრომა ჩვენში სახელის, ღირსებისა და პატივის საქმეა. ამიტომაც არის, რომ შრომადღის ღირებულებამ კოლმეურნეობაში მარტო ფულად 45 მანეთს მიაღწია. ეს ციფრი უფრო ნათლად მეტყველებს, თუ დავუმატებთ, რომ კოლმეურნეობაში თითქმის არა გვყავს წევრი, რომელსაც ხუთას შრომადღეზე ნაკლები ჰქონდეს წელიწადში გამომუშავებული.

ოქტომბრის სხივით არის გარემოსილი ბედნიერი საკოლმეურნეო ზემო ბარღები.

**ი. ახალაია,**
გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰყვავის და იფურჩქნება საბჭოთა აფხაზეთი

* * *

## ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში

ოქტომბრის მზით გასხივოსნებულ აფხაზეთში ჰყვავის, იფურჩქნება და იზრდება ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „ილიჩი". 400 ჰექტარზეა გაშიმული „ილიჩის" ბაღნარი. აქედან 160 ჰექტარი ციტრუსებს უჭირავს. აქ არის აგრეთვე ვაშლი, მსხალი, სხვა ხეხილი. 35 ჰექტარი ვენახს უკავია.

ბუნებას სილამაზით და სიმშვენიერით უხვად დაუჯილდოვებია ეს მიდამო. ზღვის პირას გაშენებული მეურნეობა ნამდვილ ბაღნარს მოგაგონებთ. აქ 5 აგროგანყოფილებაა. მათ გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მეურნეობის კოლექტივმა იკისრა ქვეყანას მისცეს 800 ტონა ციტრუსის ნაყოფი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 789,5 ტონისა.

საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის" კოლექტივს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ თვალსაჩინო მიღწევებით შეხვდეს დიად თარიღს.



სურათზე: საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის" მებაღე მუშა ა. სიდორენკო (მარცხნიდან), მეურნეობის დირექტორი მ. არჯანია და აგროტექნიკოსი შ. შენგელია ამოწმებენ მანდარინის მსხმოიარობას.

## ეროვნული კულტურის აღორძინება

1897 წლის აღწერის მიხედვით სოხუმის ოკრუგში, როგორც მაშინ აფხაზეთს ეწოდებოდა, მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე აფხაზ ხალხს არ ჰქონდა თავისი დამწერლობა. მხოლოდ 1862 წელს ცნობილმა რუსმა კავკასიამცოდნემ პ. კ. უსლარმა შეადგინა აფხაზური ალფაბეტი. შემდეგში უსლარის ანბანის საფუძველზე კომისიამ ი. ა. ბართოლომეის თავმჯდომარეობით, აფხაზების ი. გეგიას, გ. ქურციკიძის და ს. ეშბას მონაწილეობით შეადგინა აფხაზური ანბანი, რომელიც 1865 წელს გამოიცა თბილისში. მაგრამ ამ ანბანმა ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მაშინ აფხაზეთში არ იყვნენ მასწავლებელთა საკმაო კადრები, არ იყო სკოლები, სადაც მშრომელ აფხაზებს შეეძლებოდათ წერა-კითხვა ესწავლათ მშობლიურ ენაზე.

1891 წელს დ. ი. გულიამ, მაშინ 17 წლის ჭაბუკმა, ცნობილ ქართველ პედაგოგთან და აფხაზეთის მხარეთმცოდნესთან კ. დ. მაჭავარიანთან ერთად უსლარისა და ბართოლომეის ნაშრომთა საფუძველზე შეადგინა ახალი აფხაზური ანბანი, რომელიც 1892 წელს გამოიცა თბილისში. ეს ანბანი, რომელიც შემდეგში გააუმჯობესა სახალხო მასწავლებელმა ა. მ. ჩოჩუამ, მთელი რიგი წლების განმავლობაში მთავარი სახელმძღვანელო იყო აფხაზური წერა-კითხვის შესასწავლად.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებამდე აფხაზურ ენაზე მცირე ტირაჟებით გამოიცა მხოლოდ დ. ი. გულიას რამდენიმე ნაწარმოები, მაგრამ ამით უკვე საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ ლიტერატურას. აფხაზური ლიტერატურის განვითარებასა და მწერალთა ახალი ძალების კონსოლიდაციაში დიდებითი როლი შეასრულა პირველმა აფხაზურმა გაზეთმა „აფსნიმ" („აფხაზეთი"), რომელიც გამოდიოდა 1919-დან 1921 წლამდე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. აფხაზეთი, ისევე როგორც მთელი საქართველოს სს რესპუბლიკა, მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. აფხაზეთში შექმნილია სასწავლებელთა ფართო ქსელი. ახლა აქ 428 სკოლაა, სადაც 63 ათასზე მეტი მოსწავლეა. სწავლა აფხაზურ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზეა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. შეიქმნა აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, სახალხო შემოქმედების სახლი, კულტურის სახლები არა მარტო სოხუმში, არამედ რაიონებშიც: გახსნილია კლუბები, სამკითხველოები და ბიბლიოთეკები.

წლითიწლობით იზრდება იმ წიგნებისა და ბროშურების რიცხვი, რომლებსაც აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს. აფხაზურ ენაზე გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურის ნაწარმოებები. გამოდის გაზეთები აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე ლიტერატურული ჟურნალები აფხაზურ ენაზე, ალმანახები ქართულ და რუსულ ენებზე.

ახლა აფხაზეთში არის მთელი რიგი ბიბლიოთეკები წიგნის მნიშვნელოვანი ფონდით, მათ შორის სოხუმის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, სადაც 200 ათასამდე წიგნია, აგრეთვე სპეციალური ბიბლიოთეკები სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილია სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. 1931 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის ამოცანაა აფხაზური ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მედიკურ-ბიოლოგიური სადგური, რომელიც შეიქმნა 1927 წელს სოხუმის მაიმუნების საჯიშის ბაზაზე, ამუშავებს მედიცინის მთელ რიგ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო მუშაობა უმთავრესად იქითკენ არის მიმართული, რომ შესწავლილ იქნას სუბტროპიკულ მცენარეთა სამყაროს წარმომადგენლები, რათა ისინი გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობაში და გამწვანებისათვის. მედიცინისა და საკურორტო მშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი.

ნაყოფიერად მუშაობენ აფხაზეთის ასსრ სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, „გლავპარფიუმერის" სინთეზურ და ნატურალურ სურნელოვან ნივთიერებათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ზონალური საცდელი სადგური, აფხაზეთის თამბაქოს ზონალური სადგური, ტენიანი სუბტროპიკული კულტურების სოხუმის სასელექციო სადგური და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე აფხაზეთში იყო მხოლოდ ორი მწერალი, რომლებმაც თავიანთი ნაწარმოებები შექმნეს აფხაზურ ენაზე. ესენი იყვნენ დ. ი. გულია (ახლა აფხაზეთის სახალხო პოეტი) და გამოჩენილი აფხაზი პროზაიკოსი და დრამატურგი ს. ი. ჭანბა. მათმა შემოქმედებამ საბჭოთა ეპოქაში დიდ აყვავებას მიაღწია. ისინი გვიხატავენ სოციალისტური მშენებლობით გარდაქმნილი ახალი ქვეყნის ცოცხალ სცენებს და გვაძლევენ ახალი ადამიანების პოეტურ სახეებს. დ. გულიამ ბევრი ენერგია და შრომა მოანდომა რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნას აფხაზურ ენაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული ენიდან თარგმნილი შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი", აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი" და დ. ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე".

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეროვნული თეატრი არ ყოფილა. აფხაზი მსახიობები პროფესიულ თეატრალურ სცენაზე გამოჩნდნენ 1929 წელს. აფხაზური თეატრის შექმნასა და განვითარებას, მისი კადრების მომზადებას უდიდესი დახმარება გაუწიეს რუსული და ქართული სცენის ოსტატებმა. ისინი აფხაზეთის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების მუდმივი მასწავლებლები იყვნენ, უნერგავდნენ მათ სასცენო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს. ამ ტრადიციების ათვისებით აფხაზეთის თეატრის მსახიობებმა და რეჟისორებმა წარმატებით განახორციელეს ისეთი დადგმები, როგორიც არის შექსპირის „ოტელო", გოგოლის „რევიზორი", ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი", გორკის „უკანასკნელნი", აგრეთვე აფხაზი, ქართველი და რუსი საბჭოთა დრამატურგების ბევრი პიესა.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური და ქართული დრამატული კოლექტივები თავიანთ წარმოდგენებს დგამენ სოხუმში და აფხაზეთის რაიონებში. ქართული დრამატული კოლექტივი ბევრჯერ გამოსულა თბილისელი მაყურებლების წინაშე და გულთბილი შეხვედრა და ყურადღება დაუმსახურებია.

გარდა სოხუმისა, თვითმოქმედი თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები არიან ყველა რაიონულ ქალაქში და აფხაზეთის ბევრ კოლმეურნეობაში.

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიასთან მუშაობს აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. შექმნილია აფხაზეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი და საესტრადო კოლექტივი — „ჩამოდით ჩვენთან სოხუმში".

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის აფხაზეთის განყოფილებას აქვს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და დეკორაციული ხელოვნების სექციები. ყოველწლიურად ეწყობა აფხაზ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენები.

ფართოდ არის განვითარებული კინოსა და რადიოს ქსელი. ამჟამად გაჩაღებულია მზადება აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს.

კომუნისტური პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ მსოფლიოს უჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობის შესანიშნავი ნაყოფი, დაამტკიცა რომ ამ პოლიტიკის საფუძველზე ყველა ხალხი პოულობს თავისი აღორძინებისა და აყვავების გზას. ასე მოხდა აფხაზეთში. ოდესღაც ეს ჩამორჩენილი, თუმცა თავისი ბუნებით მადლიანი კუთხე გადაიქცა აფხაზეთის აყვავებულ ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად. ახლა აფხაზეთის მშრომელები ქართველ ხალხთან მჭიდრო, ძმური თანამეგობრობით ხვდებიან დიად თარიღს — ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

**ხ. ბღაჟბა,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

## მზის ასული

პატარძალივით საქორწილო ფარჩით მორთულო, კდემამოსილო, ამაყო! გიმზერთ და სილამაზით გვწვავ. თითქოს გსურს ჩაგვიხუტო — გაგიშლია მკლავები; გედივით მოგიღერებია თეთრყირმიზა ყელი. მზე, რომლის სხივებითაც უხვად ხარ განათებული, გეცრტავა და გუმისთას მოუხმე, რომ შენში ენთოს ელვარე ჩირაღდნად, ღამით მზეს შეენაცვლოს. თაიგულად შეკრულხარ. ყველა ქვეყნის ყვავილებს შენს მკერდზე უპოვნიათ ნანატრი ბინა. შენს კალთაზე ლაღად ლივლივებს და ლამეს ათევს შენი განუყრელი სატრფო — ზღვა. იგი ახლა შენთან არ ბობოქრობს — გარინდულია, ყურს უგდებს შენი პალმებისა და მაგნოლიების, ნაძვებისა და ფიჭვების შარიშურს, შენი მწვანე მთების ჩურჩულს, მაგრამ თუ როდისმე აღელდება, ეს იმიტომ, რომ შენი ნაპირის დაკოცნა უნდა, აქაფებული ზვირთებით მოიწევს, შენ კი ნაპირიდან უღიმი მას — ხან ბობოქარს, ხან დადუმებულს, ქალწულივით იხედები და კოპწიაობ მის ლურჯ სარკეში. ასობით ათასთა მასპინძელი ხარ. შენკენ მოილტვიან, სიხარულით მოიჩქარიან და ბოლოს სევდით გეთხოვებიან — არა სურთ მშვენიერებას მოსცილდნენ, რაკი მისით მოხიბლულან. შენში ისეთი სიმშვენიერეა, როგორზეც ერთ დიდ მწერალს უთქვამს:

... დილა იყო. ზღვაზე ოქროსფერი მზის სხივები იფრქვეოდა. ნაპირზე ბავშვები მოსულიყვნენ, თამაშობდნენ, ფერად კენჭებს აგროვებდნენ. ისეთი კარგი, ისეთი ლამაზი, ისეთი მომხიბლავი იყო ეს სურათი, რომ მაპატიე, მკითხველო, თუ მეტს ვერაფერს გეუბნები!..

და მე ვინა ვარ, შენს მშვენიერებაზე მეტის თქმა შევძლო, მზის ლამაზო ასულო, ჩვენო სოხუმო!

**ვლადიმერ თორდუა.**

სოხუმი. სექტემბერი.

## გმირი მახაზი

(თანამედროვე ხალხური პოეზიიდან)

შეუპოვარი ვეფხვივით
იბრძოდა გმირი მახაზი,
რომ დუშმანთაგან დაეცვა
ჩვენი სამშობლო ლამაზი.

ტყვია მტერს გულზე დააქდო,
ხმალი მტრის ჩეხით გაფერა.
თავის მამაცი სახელი
დიდების წიგნში ჩაწერა.

გზას უნათებდა სიმართლე,
წმინდა გულების მნათობი.
ვაჟკაცი არამკვეხარა
ფაშისტებს კლავდა ათობით.

მახაზმა როცა ბერლინში
მტერს მიაყარა ქვა-გუნდა,
ნაბრძოლი, გამარჯვებული
თავის სოფელში დაბრუნდა.

დაბრუნდა, მაგრამ დაღლილმა
თავი არ მისცა განცხრომას.
ველად გავიდა, შრომაშიც
აჩვენა თავის კაცობა.

ომისგან ტანგარუჯულმა
მზით გაიფერა მხარ-მკლავი
და გაიბრწყინა გულ-მკერდზე
შრომის გმირობის ვარსკვლავიც.

თარგმანი აფხაზურიდან
**აკ. გეწაძისა.**

## ციფრები და ფაქტები

⊙ 1917—1918 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 146 სკოლა 10.008 მოსწავლით. 1956—1957 სასწავლო წელს კი არის — 450 სკოლა, ტექნიკუმი და პედინსტიტუტი 68.657 მოსწავლით.

⊙ სახალხო განათლებაზე 1924 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 386,2 ათასი მანეთი, ხოლო 1956 წელს — 87.785 ათასი მანეთი.

⊙ 1940 წელს იყო 140 კლუბი, 1956 წელს მათი რიცხვი გადიდდა 198-მდე.

⊙ 1917 წელს იყო 4 საავადმყოფო 92 საწოლით, 1956 წელს კი — 57 საავადმყოფო 2.175 საწოლით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობდა 8 ექიმი. ხოლო 1956 წელს მუშაობდა 949 ექიმი და 2.321 საშუალო სამედიცინო მუშაკი.

## ჩემი აფხაზეთი

**კონსტანტინე ლომია**

აფხაზეთი — აფსნი, რაც აფხაზურად „სულის ქვეყანას" ნიშნავს, სულით და გულით უყვარს ყველა ხალხს. ჩვენი აფსნი განთქმულია თავისი მშვენიერი, სწორუპოვარი ბუნებით, თავისი სამკურნალო ჰავით, თავისი პატარა ხალხის ვაჟკაცობით, სილამაზით და სტუმართმოყვარეობით.

აფხაზი პოეტები აფსნიზე ამბობენ, რომ იგი „მზის ქალიშვილია". და მართლაც მთელი წლის განმავლობაში მზე თავის ცხოველმყოფელ, ოქროსფერ სხივებს აფრქვევს ჩვენს აფსნის. და ყოველწლიურად სტუმართმოყვარე ხალხთან ერთად მზე, ზღვა და მთები დასასვენებლად ეპატიჟებიან უთვალავ სტუმარს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ისინი სასურველი სტუმრები არიან და აფხაზეთის ეზოში შემოდიან როგორც საყვარელი და მახლობელი ადამიანები.

მაგრამ იყო სხვა დრო, რომელიც ჩვენგან სულ უფრო და უფრო შორს მიდის. თაობამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, იმ დროის შესახებ იცის მხოლოდ ასწლოვან მოხუცთა ნაამბობით. მაგრამ ეს ნაამბობიც იმდენად მწარე და მძიმეა, რომ ნათლად წარმოგიდგება ის საშინელება, რაც ჩვენმა პატარა აფსნიმ განიცადა. მელისმძვლი აფხაზური ლექსები მწუხარებით აგვიწერენ იმას, თუ დამპყრობლებს, რომლებიც მგლის ხროვასავით გვესხოდნენ, როგორ სურდათ ჩვენი მზეთუნახავის — ჩვენი აფსნის მოტაცება. მაგრამ პატარა აფსნი მტრებს არ ნებდებოდა.

ბევრი ტანჯვა განუცდია ჩვენს სტუმართმოყვარე მზიურ აფხაზეთს შავბნელი გარეწრების შემოსევისაგან. ბევრჯერ გაუჩანაგებიათ მტრებს ჩვენი ზურმუხტოვანი ნაპირები, ბევრჯერ ფერფლად უქცევიათ მზიური ქალაქები. რამდენჯერ ყოფილა დანგრეული აფხაზეთის დედაქალაქი — სოხუმი, შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მძარცველებს, განსაკუთრებით თურქ-იანიჩარებს, აფსნიდან გაჰქონდათ ჩვენი მხარის სიმდიდრე: თამბაქო, სიმინდი, ხე-ტყე და სხვადასხვა ფასეულობა. იქ, სადაც ახლა სასახლეები აღმართულან, სადაც ბაღები და ჩაის პლანტაციებია, წინათ გაუვალი ტყეები და ეკალ-ბარდი იყო. ამ ტყეებსაც არ აძლევდნენ მოსვენებას, უმოწყალოდ ჩეხდნენ და ეზიდებოდნენ უცხოელი კაპიტალისტები.

...ეს იყო სულ ცოტა ხნის წინათ. ერთ საღამოს ზღვის პირას შევხვდი აფხაზეთის სახალხო პოეტს დიმიტრი გულიას. რუსთაველის პროსპექტზე ბევრი ხალხი იყო. ლივლივებდნენ შავი ზღვის დაქანცული ტალღები. მთები სიბნელეში ეხვეოდნენ. ყველანი რაღაცას მოელოდნენ. და უეცრად იმდენი ელნათურა აენთო, რომ ქალაქი თითქოს სულ შეიცვალა, კიდევ უფრო გამშვენიერდა. სოხუმის მთის ფერდობებსა და მწვერვალზე ლამპიონები გამოკრთოდნენ. მე დიმიტრი იოსების-ძის კეთილ და გაბრწყინებულ თვალებში შევხედე. მან უეცრად ღრმად ამოიოხრა და სევდამ შავი ჩრდილივით გადაუარა სახეზე. მივხვდი, რომ დიმიტრის არასასიამოვნო რაღაც მოაგონდა. და მან დაიწყო.

— მახსოვს, რევოლუციამდე ცოტა ხნის წინათ სოხუმში რაღაც საქველმოქმედო საღამო იყო. ერთ მაგიდას განცალკევებით უსხდნენ „საზოგადოების ბურჯნი" — თავადები, სამსახურიდან გასული გენერლები, მაღალი თანამდებობის მოხელეები. ერთმა იმაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ ქალაქის ქუჩებში სიბნელეა. პასუხად ერთ-ერთმა „ბურჯმა" შენიშნა, კარგი იქნებოდა, თუ ქალაქში სტეარინის სანთლის ქარხანას მოვაწყობდითო...

ეს მოგონება შორეულ წარსულს უკავშირდება. დღეს ჩვენი დედაქალაქი სოხუმი სოხუმჰესის სხივებით არის გაკაშკაშებული.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა გაწამებული იყო აფხაზი ხალხი. ის დრო წაიღო და ზღვაში ჩაძირა დიდი ოქტომბრის ცეცხლოვანმა ნაკადმა, დრო, რომელიც ახე ეჯავრებოდა ჩვენს თავისუფლებისმოყვარე ხალხს.

დღეს აფხაზი ხალხი საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ოჯახში უფროსი რუსი და ქართველი ძმების დახმარებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის დახმარებით, ახალ ბედნიერ ცხოვრებას აშენებს. აფხაზი ხალხის ბედნიერი ცხოვრება არის ნაყოფი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, ნაყოფი სახელოვანი დიადი ოქტომბრისა, რომლის მე-40 წლისთავს უდიდესი წარმატებებით ხვდებიან აფხაზეთის მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად.

ნათელი და ბედნიერია დღეს ჩემი აფსნი. მაგრამ კიდევ უფრო ნათელია მისი მომავალი. კომუნიზმის სახიხარულო დღე მტკიცედ შემოდის აფხაზურ ეზოში.

## შავი ოქრო ტყვარჩელიდან

მე, აფხაზი გლეხის შვილს, დიდმა ოქტომბერმა გამიშუქა ცხოვრების გზა. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის მცხოვრებ ჩემს მშობლებს წინათ წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ შვილი თავისი სოფლის ფარგლებს გასცდებოდა, თოხს საწარმოო იარაღით შეცვლიდა, სამოქმედო ასპარეზად სიმინდის ყანის ნაცვლად შახტებს გაიხდიდა...

დიდი ოქტომბრის მონაპოვარმა — შრომის უფლებამ მილიონობით საბჭოთა ადამიანთან ერთად მეც გამხადა ბედნიერი. შრომით მოვიპოვე სახელი, შრომამ გამხადა ხალხის მსახური — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ცხოვრების დიდ გზაზე ჩემი გამოსვლა ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქ ტყვარჩელთან, აფხაზეთის მეშახტეთა ქალაქთან არის დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ფოქვეშელმა ახალგაზრდამ საყვარელ და მშობლიურ ქალაქად ჩემი ტყვარჩელი დავასახელო.

13 წელიწადია, რაც ტყვარჩელის მეშახტეებს ვეძმე. გამყვანის რთული პროფესია ავირჩიე. მას შემდეგ არ მიღალატნია მეშახტის საპატიო პროფესიისათვის.

მესამე შახტის მესამე უბნის გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი ვარ. ჩვენ ოთხნი ვმუშაობთ, მაგრამ შვიდი კაცის ნორმას გადაჭარბებით ვასრულებთ, ჩემს ბრიგადაში მუშაობს ცნობილი მეშახტე გამყვანი ნიკოლოზ ხაჭაპურიძე — მშრომელთა დეპუტატების ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. აქვეა საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებული, უკვე თავის პროფესიას ღრმად დაუფლებული გამყვანი გიორგი შენგელია, თავდადებით იბრძვის ჩვენი შორის რუსი მეგობარი გიორგი ანდროსოვი. ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული და წარმატებასაც ვაღწევთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ტყვარჩელმა ზეიმით აღნიშნა მეშახტეთა დღე. ამ ტრადიციულ დღესასწაულს წარმატებით შევხვდით. თავდადებული შრომით თავი დაალწიეს ჩამორჩენას და ტყვარჩელის მთელი რიგი შახტები წელს ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებში დგანან. ქვანახშირის მოპოვების 8 თვის გეგმა მთლიანად ტრესტმა „ტყვარჩელქვანახშირმა" გადაჭარბებით შეასრულა. ჩაებნენ რა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ტყვარჩელელებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით 15.000 ტონა ქვანახშირი მოეცათ. ეს დავალება უკვე ივლისისათვის იყო შესრულებული.

მიმდინარე წლის თვალსაჩინო ღონისძიებას წარმოადგენს გადასვლა წყვეტილ კვირაზე საერთო გამოსასვლელი დღით ყველა მეშახტისათვის. წყვეტილი კვირა საშუალებას გვაძლევს გამოსასვლელ დღეს ვაწარმოოთ სამთო ტექნიკის მიმდინარე და პროფილაქტიკური რემონტი, რაც უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ მუშაობას. გარდა ამისა, საერთო გამოსასვლელი დღე ხელს შეგვიწყობს წესრიგში მოვიყვანოთ საჰაერო-საბაგირო გზის მექანიზმები, აგრეთვე მოვაწესრიგოთ მეშახტეთა კულტურული დასვენება.

შრომის ამ ახალი რეჟიმის შედეგად მივაღწიეთ ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო მოპოვების გადიდებას 850 ტონით, მნიშვნელოვნად შემცირდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ყოველ მეშახტეს ღრმად აქვს შეგნებული, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვან უბანზე უხდება ბრძოლა. მეტი და მაღალხარისხოვანი სათბობი სოციალისტურ სამშობლოს! — ასეთია ყოველი ჩვენგანის მისწრაფება. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში მრავალი ახალგაზრდა მეშახტე დაწინაურდა. მთელ ჩვენს კოლექტივში პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობენ ისეთი მოწინავე მეშახტეები, როგორიც არიან ი. სორდია, ა. ფედოროვი, ტ. ლეშჩენკო, ო. სურმანიძე, დ. ტაბატაძე, პ. სერენკოვი, ა. ავდეენკო, რ. გვაზავა, ი. გუჩმაზოვი, გ. ნოდია და მრავალი სხვა.

მეშახტეთა ჩვენს კოლექტივს ენერგიულად და უნარიანად ხელმძღვანელობს თავისი საქმის ღრმად მცოდნე სამთო ინჟინერი ნიკოლოზ იპოლიტეს-ძე ჩხეტია. მე, როგორც ამ კოლექტივის წევრი, ვამაყობ, რომ ტყვარჩელი გამოვიდა ჩამორჩენილთა და მტკიცედ დაადგა მოწინავეობის გზას.

მაგრამ ეს ჩვენ, მეშახტეებს, უფლებას არ გვაძლევს თუნდაც ერთი წუთით შევანელოთ ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის.

ოქტომბრის მზის ქვეშ იზრდება და იფურჩქნება ინდუსტრიული ქალაქი ტყვარჩელი.

**ვ. ჯინჯოლია,**

ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" მესამე შახტის გამყვანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



აფხაზეთის ასს რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმის საერთო ხედი. ფოტო ი. ქოხონელიძისა.

## ლონდონს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაცია

8 სექტემბერს [illegible] ტატები მ. აბდურახმანოვი, პ. ბ. ბიკოვი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. კ. ზამჩევსკი, ლ. ფ. ა. ილი-სონი, კ. კონდუჩალოვა, ზ. ა. ლებედევა, ქ. ვ. ლომთათიძე, ა. პ. ლუპანი, ი. ი. მატულისი, ი. ვ. პეივე, გ. ბ. პეტროსიანი, ა. მ. რუმიან-ცევი, კ. მ. სოკოლოვი, ე. ბ. ტაიბეკოვი და ნ. კ. ჩერკასოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცი-ლეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავში-რის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. კომა-როვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავ-შირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

## საბჭოთა თვითმფრინავი „ტუ-104 ა" ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამშობლოში გაფრინდა

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (ტასი). დღეს დილის 6 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით მაკგაირის (ნიუ-ჯერსის შტატი) აე-როდრომიდან გაფრინდა რეაქტიული საბჭოთა თვითმფრინავი „ტუ-104 ა", რომელმაც ამერი-კის შეერთებულ შტატებში ჩამოიყვანა სსრ კავშირის დელეგაციის თანამშრომლები, გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის გენერალუ-რი ასამბლეის მომავალ XII სესიაზე.

## მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია

6 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ბულგა-რეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია 1958-1960 წლებში სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის საქონლის ურთიერთმიწოდების თაობაზე გრძელვადიანი შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკები-სათვის.

დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის ვაჭ-რობის მინისტრი ბ. ტასკოვი.

## დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ განიარაღების გზას დაადგნენ

### პრეს-კონფერენცია ლონდონში

ლონდონი, 6 სექტემბერი. (ტასი). [illegible] მუშაობა ისე, რომ ვერ მიაღწია შეთანხმებას ვერც ერთ საკითხზე, რომლებიც მას გენე-რალურმა ასამბლეამ მიანდო. წინანდებუ-რადვე გადაუჭრელია საკითხები ატომისა და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებ-ლივ შეწყვეტის, ამ იარაღის ხმარებაზე სა-ხელმწიფოთა მიერ უარის თქმის, სახელმწი-ფოთა შეიარაღებული ძალების არსებითი შემ-ცირებისა და სხვ. შესახებ.

საბჭოთა კავშირი იღებდა და იღებს მნიშვნე-ლოვან ღონისძიებებს აღნიშნულ საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად. სსრ კავშირმა გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის ქვეკომი-ტეტში შეიტანა წინადადებანი, რომელთა მიზა-ნია განიარაღების გადაუდებელი საკითხების უსწრაფესი გადაჭრა. ამ წინადადებებმა მსოფ-ლიოს საზოგადოებრიობისა და ბევრი ქვეყნის, მათ შორის დასავლეთის სახელმწიფოთა მთავ-რობის წრეების დადებითი შეფასება პოვეს. მიუხედავად ამისა, ქვეკომიტეტში განიარაღე-ბის საკითხების განხილვამ დადებითი შედეგე-ბი ვერ მოგვცა.

რა არის ქვეკომიტეტის არადამაკმაყოფილე-ბელი მუშაობის მიზეზი?

ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, რო-გორც ქვეკომიტეტში მოლაპარაკების მსვლე-ლობამ ცხადყო, არ აპირებენ დაადგნენ ნამდ-ვილი განიარაღების გზას. მათ სრულიადაც არა სურთ უარი თქვან ატომურ და წყალბადის ბომბებზე როგორც ომის იარაღზე. მათ არა სურთ შეწყვიტონ ასეთი იარაღის გამოცდა.

ამ სახელმწიფოებს არა სურთ აგრეთვე შე-თანხმება შეიარაღებული ძალების, შეიარაღე-ბისა და სამხედრო ბიუჯეტების მნიშვნელოვა-ნი შემცირების შესახებ. ამას ადასტურებს და-სავლეთის სახელმწიფოთა ნაკრები დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ძველ წინადადებებს; ამ წი-ნადადებათა უვარგისობა განიარაღების პრაქ-ტიკული საკითხების გადასაჭრელად გამოაშკა-რავებულ იქნა ქვეკომიტეტში ოთხი თვის გან-ხილვის მსვლელობაში, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა 30 აპრილს შეიტანა წინადადება განიარაღების ნაწილობ-რივ ღონისძიებათა შესახებ. დასავლეთის სა-ხელმწიფოთა 29 აგვისტოს ამ წინადადებებში ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დაუკავშირეს განიარაღების ყვე-ლა სხვა საკითხის გადაჭრას. ამით დასავლეთის სახელმწიფოები ფუშავენ ამ დიდმნიშვნელო-ვანი და სასწრაფო საკითხის გადაჭრას.

დასავლეთის სახელმწიფოები ატომურ და წყალბადის იარაღს განიხილავენ როგორც თა-ვიანთი პოლიტიკისა და სამხედრო სტრატე-გიის საფუძველს.

დასავლეთის სახელმწიფოებმა ხელი შეუშა-ლეს სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების თანდათანობით ლიკვიდაციის საკითხისა და [illegible] ნისძიებების მოჩვენებითობა ამ დარგში მსოფ-ლიო საზოგადოებრიობის დასამშვიდებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვეკომიტეტის შე-მადგენლობა ხელს არ უწყობს მის ნაყოფიერ მუშაობას. ქვეკომიტეტის ხუთი წევრიდან შე-ერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთსა და კანადას ხელმძღვანელი მდგომარეობა უკავიათ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომლის მთელი პოლიტიკა აგებულია გამალებული შე-იარაღების განგრძობაზე, ახალი ომისათვის მზა-დებაზე ატომური და წყალბადის იარაღის გა-მოყენებით.

ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც წარმოდგენილი არიან ქვეკომიტეტში, წინდა-წინ შეუთანხმდნენ ყველა საკითხზე, რომელ-თაც ქვეკომიტეტში განიხილავენ, ნატოს სხვა წევრებს, მათ შორის ადენაუერის მთავრობას, ხოლო ამასთან ერთად კატეგორიულად გაი-ლაშქრეს ქვეკომიტეტში მოესმინათ ინდოეთის მთავრობის აზრი განიარაღების საკითხზე, იმას მოწმობს, რომ დასავლეთის სახელმწი-ფოებს არა აქვთ ნამდვილი სურვილი მიაღწი-ონ რეალურ წარმატებას განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში.

რა დასკვნა გამომდინარეობს ქვეკომიტეტში შექმნილი მდგომარეობიდან? საბჭოთა კავში-რის მთავრობის 27 აგვისტოს განცხადება ამომწურავ პასუხს იძლევა ამ საკითხზე და ააშკარავებს ქვეკომიტეტში შექმნილი არადამა-კმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზებს და უჩვენებს განიარაღების გადაუდებელი საკით-ხების დადებითი გადაჭრის გზებს.

საჭიროა, რომ განიარაღების საკითხების გან-ხილვა წარმოებდეს ქვეკომიტეტის არა საი-დუმლო და ვიწრო სხდომებზე, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს მოზიდვით, რომლებიც სასი-ცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი განიარა-ღების პრობლემის გადაჭრით. ცხადია, რომ სა-ჭიროა ეს საკითხი დაუყოვნებლივ იქნას გან-ხილული გენერალური ასამბლეის XII სესია-ზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება, მოსმე-ნილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზა-ციის ყველა წევრი სახელმწიფოს აზრი, რომ-ლებიც მოისურვებენ თავიანთი წვლილი შე-იტანონ განიარაღების პრობლემის დადებით გა-დაჭრაში, და განხილულ იქნას ყველა წინადა-დება, რომლებიც გააადვილებენ განიარაღების ძირითადი საკითხების უსწრაფესად გადაჭრას.

საბჭოთა კავშირი თავის მხრივ კვლავაც მი-იღებს ყველა ღონისძიებას და გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა მკვდარი წერტი-ლიდან დაძრას განიარაღების საქმე და მიაღ-წიოს შეთანხმებას, რომელიც შეწყვეტს გამა-ლებულ შეიარაღებასა და თავიდან აგვაცილებს ატომური ომის საფრთხეს.

შემდეგ ვ. ა. ზორინმა უპასუხა ჟურნალისტ-თა კითხვებზე.

## მსოფლიოს ყველა კუთხიდან...

### აჭარის ტურისტთა ბაზებში ათი ათასამდე ტურისტმა გაიარა

ბათუმი. (საქ. კორ.). [illegible] შეხვდნენ სეზონს. შარშან მარტო ბათუმის ტურისტთა ბაზაში 6 ათასზე მეტმა კაცმა გა-იარა, ხოლო მწვანე კონცხისაში — 10 ათას-ზე მეტმა. ტურისტები აქ მოდიან, რათა და-ათვალიერონ საბჭოთა საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის ღირსშესანიშნაო-ბანი, ბათუმის ისტორიული ადგილები, ეცნო-ბიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, ჩაის ფაბრიკებს, საბჭოთა მეურნეობებს, მილიო-ნერ კოლმეურნეობებს.

ტურისტთა შორის არიან უცხოელები, მათ შორის ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დე-მოკრატიული რესპუბლიკიდან. ტურისტთა ბაზებმა უკვე მიიღეს ასობით გერმანელი და ჩეხოსლოვაკიელი ტურისტები, რომლებიც ბათუმში 4-5 დღეს დაჰყოფენ.

აჭარის ტურისტთა ბაზებში 10 ათასამდე კაცმა გაიარა. აქ კიდევ მოელიან ათასობით საბჭოთა და უცხოელ ტურისტს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გერმანელ ტურისტთა ჯგუ-ფი ბათუმის ტურბაზაში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### თბილისელ წყალბურთელთა წარმატება

თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში ოთხ დღეს გრძელდებოდა ფინალური შეხვედრები წყალბურთში სსრ კავშირის პირ-ველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის.

შეჯიბრების მეორე დღეს სტალინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა (5:3) ტაჯიკეთის ნაკ-რები გუნდი, ხოლო რსფსრ-ის გუნდმა ანგა-რიშით 3:2 სძლია მოსკოვის „ბურევესტნიკს".

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ლვოვის „დინამოსა" და თბილისის „ბურევეს-ტნიკის" გუნდების შეხვედრამ. თბილისელებმა სუსტად ჩაატარეს თამაში და წააგეს ანგარი-შით 2:4.

მესამე დღეს ცენტრალური ასპარეზობა იყო მოსკოვის „ბურევესტნიკისა" და მათი თბილი-სელი თანაკლუბელების შეხვედრა.

თამაში მაღალი ტემპით დაიწყო. მეკარეები თავიდანვე ჩაებნენ თამაშში. მე-8 წუთზე მოს-კოველებმა ელვისებური იერიში მიიტანეს თბილისელთა კარზე და კურენომ ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0 მოსკოველ-თა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა. თბილისელ დარახველიძის მიერ გა-ტანილ ორ ბურთს მოსკოველებმა ერთით უპასუხეს და ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

თამაშმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მი-იღო შეხვედრის ბოლო წუთებში. ენერგიულად თამაშობენ თბილისელები, მათ არ აკმაყოფი-ლებთ საყაიმო ანგარიში და ისინი მალე მიზან-საც აღწევენ — დარახველიძეს ახლო მანძილი-დან მესამე გადამწყვეტი გოლი გააქვს. ეს სა-ინტერესო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამ დღეს ლვოვის „დინამომ" დაამარცხა (5:1) სტალინგრადის „სპარტაკი". რსფსრ-ს გუნდმა მოუგო (9:1) ტაჯიკეთის ნაკრებს.

8 სექტემბერი შეჯიბრების უკანასკნელი დღე იყო. თბილისელებმა დაამარცხეს ტაჯიკე-თის ნაკრები გუნდი ანგარიშით 5:2, სტალინ-გრადის „სპარტაკმა" ანგარიშით 4:7 დამარცხე-ბა განიცადა რსფსრ-ის გუნდთან. ლვოვის „დი-ნამომ" მოუგო მოსკოვის „ბურევესტნიკს" (9:2).

ამრიგად, პირველ ადგილზე გამოვიდა ლვოვის „დინამო", მეორეზე—თბილისის „ბურევესტნი-კი", მესამეზე — რსფსრ-ის გუნდი. მომდევნო ადგილებზეა სტალინგრადის „სპარტაკი", მოს-კოვის „ბურევესტნიკი" და ტაჯიკეთის ნაკრე-ბი.

შეჯიბრების დებულების თანახმად, ლვოვის „დინამოს" და თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელები მომავალ წელს „ა" კლასში ითამაშებენ.

მ. ჭიჭინაძე.

### სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

თბილისის „დინამოს" სტადიონის კალათ-ბურთის მოედანზე მიმდინარეობს საინტერესო ასპარეზობა კალათბურთში სსრ კავშირის 1957 წლის პირველობაზე ვაჟთა გუნდებს შორის.

მეორე წრის პირველ ტურში დღემდე წაუ-გებლად იბრძვიან თბილისის „დინამოს" და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორ-ტული კლუბის გუნდები. ამ ტურში თბილისე-ლებმა მორიგი გამარჯვება (86:67) მოიპოვეს კიევის „ბურევესტნიკთან", მესამე დღეს კი მათ დაამარცხეს დედაქალაქის „სპარტაკი" ან-გარიშით 75:61.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: თავ-დაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტუ-ლი კლუბის გუნდი — ქ. სვერდლოვსკის გუნ-დი 67:60, ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — მოსკოვის „სპარტაკი" 66:64, თავდაცვის სამი-ნისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი—ლენინგრადის „ბურევესტნიკი" 66:55.

### უძლიერეს ჩოგბურთელთა ასპარეზობა

სამი დღეა თბილისის კორტებზე მიმდინარე-ობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1957 წლის პი-რად პირველობაზე. მონაწილეობას იღებს 128 ჩოგბურთელი. ასპარეზობა ტარდება ოლიმპი-ური სისტემით.

დღემდე შეჯიბრების მონაწილეებს გავლილი აქვთ სამი ტური. მეოთხედფინალში მონაწილე-ობის უფლება მოიპოვეს და ჩემპიონის საპა-ტიო წოდების მოპოვების შესაძლებლობას ინარჩუნებენ ვაჟთა შორის — მოსკოველები ანდრეევი და ნოვიკი, ლენინგრადელები პოტა-ნინი და ლუკირსკი, ტალინელები ლეიუსი და კედარსი, აგრეთვე მოზერი (კიევი) და ანისიმო-ვი (როსტოვი); ქალთა შორის — მოსკოველე-ბი — ჩუვირინა, პრეობრაჟენსკაია, ფილიპოვა, სუმაროკოვა, დმიტრიევა და ემელიანოვა, აგ-რეთვე კუზმენკო (კიევი) და რიაზანოვა (თბი-ლისი).

### სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასი

მოსკოვი. 8 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სა-ხელობის ცენტრალურ სტადიონზე ჩვენი ქვე-ყნის 1957 წლის პირველობის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დი-ნამოსა" და მინსკის „სპარტაკის" ფეხბურ-თელთა გუნდები.

გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 3:0.

### სსრ კავშირის თასზე

გუშინ მოსკოვში შედგა მეოთხედფინალური შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" გუნდები. გაიმარჯ-ვეს მოსკოველებმა ანგარიშით 6 : 1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

## ახალი კინოჟურნალი «საბჭოთა საქართველო»

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო" № 25 მრავალსიუჟეტიანი და საინტერესოა. პირველი კადრები ასახავენ თბილისის კოტო-ნის წინდების ფაბრიკას. მაყურებელი ეცნობა ქალის წინდის ქსოვის პროცესებს, ფაბრიკის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებათა შესას-რულებლად.

კადრები გადადის დედაქალაქის ერთ-ერთ ახალგაზრდა რაიონში საბურთალოში. ეკრანზე მოჩანან მაღალ შენობათა ჩონჩხები, მშენებლო-ბის პროცესები, მოწინავე მშენებლები.

ნაძენარისა და ფიჭვნარშია აბასთუმნის ას-ტროფიზიკური ობსერვატორია, სადაც მეტად საინტერესო მეცნიერული მუშაობა წარმოებს. მაყურებელი ხედავს ობსერვატორიის მოწყო-ბილობას, ეცნობა ცის სამყაროს შესასწავლ ხელსაწყოებს.

ფართო შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარე-ობს თბილისის კინოსტუდიის პავილიონებში. მაყურებლის თვალწინ ერთმანეთს ცვლიან ძვე-ლი თბილისის მოქალაქეთა ტიპები, მოხელეე-ბი, სამხედრო პირები. აქვე არიან რეჟისორი ნ. სანიშვილი და ოპერატორი დ. ფელდმანი. მიმდინარეობს კინოსურათ „ქალის ტვირთის" გადაღება.

დღითიდღე ლამაზდება და კეთილმოწყობი-ლი ხდება მეტალურგთა ქალაქი რუსთავი. ეკ-რანზე მოჩანს რუსთავის კულტურისა და დას-ვენების პარკის ტერიტორიაზე მოწყობილი საცურაო აუზი. მხიარულად ისვენებენ ახალ-გაზრდა ქალაქის მცხოვრებლები.

კინოჟურნალის მონტაჟის რეჟისორია ლ. გო-გაძე, ოპერატორები ზ. მაჩაიძე, ნ. ნაგორნი, ა. აჯიბეგიშვილი, ვ. კურიანი, ა. პოლოსოვი, ა. სემიონოვი.

## ლამაზდება ენერგეტიკოსთა დაბა

თერჯოლა. (საქ. კორ.). ტყიბულჰესის მუშა-თა დაბა ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობი-ლია თერჯოლის რაიონში. უკანასკნელი წლე-ბის მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა. დაბას ამშვენებს ხუთი კაპიტალური ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და მრავალი ლამაზი კოტეჯი, 150-ადგილიანი კეთილმოწყობილი კლუბი, საშუალო სკოლა, აბანო, ბიბლიოთეკა და მძლავრი რადიოკვანძი.

ამჟამად შენდება ორსართულიანი ადმინის-ტრაციული სახლი. ახლო მომავალში დაიწყება სტადიონისა და საზაფხულო კინოთეატრის აგება. დიდი თანხები დაიხარჯება ქუჩების მოასფალტებასა და გამწვანებაზე.

## ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

ცამეტი წლის წინათ შრომისმოყვა-რე ბულგარელმა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანე-ლობით თავი დააღწია ფაშისტური მონობის უღელს.

თავისუფალი ხალხის ურღვევი ნება უძლიერეს ძალად იქცა. უკვე 1948 წელს აღდგენილ იქნა ომით დანგრეუ-ლი სახალხო მეურნეობა, ხოლო 1952 წლიდან წინათ ჩამორჩენილი აგრარუ-ლი ქვეყნიდან ბულგარეთი მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწი-ფო გახდა.

1954 წლის დამდეგს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ შეიმუშავა მეორე ხუთწლედის (1953-1957) დირექტივები. რესპუბლიკის მშრომელები ენერგიულად ჩაებნენ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორ-ციელებისათვის ბრძოლაში. თავდადე-ბულმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. თუ მეორე ხუთწლიანი გეგ-მით გათვალისწინებული იყო ომამ-დელ 1939 წელთან შედარებით სამ-რეწველო პროდუქციის გამოშვების 6-ჯერ გადიდება, ეს დავალება მიმ-დინარე ხუთწლედის განვლილ პერი-ოდში უკვე გადაჭარბებით არის შეს-რულებული.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებუ-ლი რესპუბლიკის ელექტროფიკაციის, მეტალურგიული მრე-წველობის განვითა-რების, სოფლის მე-ურნეობის სოცია-ლისტურად გარდა-ქმნისა და კულტურუ-ლი მშენებლობის დარგში.

ახლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლი-კაში ელექტროენერ-გიის გამომუშავება 2,5 მილიარდ კილო-ვატსაათს შეადგენს, რაც დაახლოებით 10-ჯერ აღემატება ომამდელ დონეს.

წარმატებით მუ-შაობს ლენინის სახე-ლობის მეტალურგი-ული ქარხანა, რო-მელმაც ჯერ კიდევ შარშან რესპუბლი-კას მისცა 100 ათასი ტონა ფოლადი. სრუ-ლი სიმძლავრით ამუ-შავების შემდეგ იგი წელიწადში გამოუ-შვებს 200 ათას ტო-ნა თუჯს, 250 ათას ტონა ფოლადს და 200 ათას ტონა ნაგლინს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ჯეროვან სამსახურს უწევს ახალ-გაზრდა ქალაქის — დიმიტროვგრადის სტალინის სახელობის ქიმიური კომ-ბინატი. უაღრესად დიდია დიმიტრო-ვის სახელობის ქარხნის მნიშვნელობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მან-ქანებს უშვებს. აღნიშნულმა ქარხანამ დაიწყო კომბაინების მასობრივი გა-მოშვება.

1955 წლიდან სწრაფად ხორციელ-დება რესპუბლიკის სოფლის მეურ-ნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ახლა სოციალისტური სექტორი გლე-ხურ მეურნეობათა 80 პროცენტზე მეტს აერთიანებს და რესპუბლიკას მარცვლეული კულტურების მთელი სასაქონლო პროდუქციის 90 პრო-ცენტზე მეტს აძლევს.

კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა დიდ ღონისძიებებს ახორ-ციელებენ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმ-ჯობესებისათვის. რესპუბლიკაში ლი-კვიდირებულია წერა-კითხვის უცო-დინრობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობს.

თუ ომამდე უმაღლესი სასწავლებ-ლების რიცხვი ბულგარეთში 5-ს არ აღემატებოდა, ახლა რესპუბლიკაში 20 უმაღლესი სასწავლებელია, აქე-დან 15 დედაქალაქ სოფიაში. აქვეა ათეულობით სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლებსაც სათავეში უდგას ბულგა-რეთის მეცნიერებათა აკადემია. მხო-ლოდ პირველ ხუთწლედში უმაღლეს-მა სასწავლებლებმა რესპუბლიკას 23 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი მო-უმზადეს.

თეატრებისა და კინოთეატრების რა-ოდენობა ბულგარეთში ომამდელთან შედარებით დაახლოებით 7-ჯერ გა-დიდდა და მათი რიცხვი ახლა 1.120-ს აღემატება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეო-ბის სწრაფი აღმავლობის შედეგად შე-საძლებელი ხდება მშრომელთა საარ-სებო დონის განუხრელი ამაღლება. შარშან მნიშვნელოვნად გაუდიდდათ ხელფასი მცირეხელფასიან მუშა-მო-სამსახურეებს, ასევე გადიდდა პენ-სიები და სასოფლო სამეურნეო პრო-დუქტების დამზადების ფასები.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლი-კის ყველა წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებ-თან მისი მჭიდრო მეგობრული ურთი-ერთობა. სახელოვან საბჭოთა არმიას ბულგარელი პატრიოტები დამსახუ-რებულად უწოდებენ განმათავისუფ-ლებელ არმიას. ბულგარელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში უანგარო ძმურ დახმარებას უწევს საბ-ჭოთა ხალხი.

დღესაც მძლავრად გაისმის და ხელს უწ-ყობს ორი ხალხის მე-გობრობის შემდგომ განმტკიცებას ბულ-გარელი ხალხის საყ-ვარელი შვილის გი-ორგი დიმიტროვის სიტყვები: „ბულგა-რელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ისევე სა-სიცოცხლოდ აუცი-ლებელია, როგორც მზე და ჰაერი ყოვე-ლი ცოცხალი ადამია-ნისათვის".

საბჭოთა ადამიანე-ბი დიდად აფასებენ ამ მეგობრობას და საზეიმო დღეებში ბულგარელ ხალხს ერთხელ კიდევ უს-ურვებენ მორიგ წარ-მატებებს მშვიდო-ბიან შემოქმედებით შრომაში.

ქ. გიორგიძე.



ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. როდოპის ქვანახშირის აუზი. ს უ რ ა თ ზ ე: იორდან პეტროვის მეშახტეთა ახალგაზრდული ბრიგადა კვირადღეს.
ფოტო სტოიკო კოჟუხაროვისა. („ბულგარეთის ფოტოგრაფია").


საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრეთის (ქარელის რაიონი) მებაღეობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი სკოლა აცხადებს მოსწავ-ლეთა მიღებას 1957-58 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს მებაღე ტექნიკოსებს.

სკოლაში მიიღებიან საწარმოო ბრიგადის ბრიგადირები და რგოლის ხელმძღვანე-ლები, რომლებსაც აქვთ კოლმეურნეობაში მუშაობის საწარმოო გამოცდილება და გა-ნათლება არანაკლებ 4 კლასისა, აგრეთვე კოლმეურნეები, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ 7 კლასისა, კოლმეურნეობაში მუშაობის 3 წლის სტაჟი და ასაკით არანაკ-ლებ 19 წლისა, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სკოლაში მიღება წარმოებს უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა — ერთი წელი. სწავლა უფასოა.

სკოლაში მივლინებულმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, პას-პორტი ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომის ოქ-მის ამონაწერი სკოლაში მივლინების შესახებ, ცნობა კოლმეურნეობაში მუშაობის სტა-ჟისა და თანამდებობის შესახებ, ორი ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ.

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით, უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, გათბობა-განათებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რჩევას აძლევს კოლმეურნეობებს დაურიცხონ სკოლაში მივლინებულთ თვეში 20-25 შრომადღე და ყოველთვიურად მისცენ 100 მანე-თი სწავლის მთელ პერიოდში.

სკოლაში ჩარიცხვა წარმოებს 15 ოქტომბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

სკოლის მისამართი: ქარელი, ბრეთის მებაღეობის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.


მეუღლე ხანა, შვილები ეთერი, ისაკი, რძა-ლი როზა, სიძე მიშა იუწყებიან
**ბესარიონ ეფრემის-ძე პარლაგაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IX, 8 ს. გა-მოსვენება 11-IX, 4 ს. საიათნოვას ქ. № 13.

მეუღლე არჩილ, შვილი მანანა; მოსე, მანანა, ზაქარია, გარსევან, რძლები ნასტია, მედეა ბიძინაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**მარიკა ვასილის ასულ ლაპიაშვილი-ბიძინაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, 5 ს. სოფ. ტიბაანში (სიღნაღის რ.)

დედა მარგალიტა, და ქეთო, რძალი ლილი ოჯახებით იუწყებიან
**ჟუჟუ ლუკას-ძე ჭავჭანიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, 6 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, წერეთ-ლის ქ. № 11.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი იუწყე-ბა რაიონის მილიციის განყოფილების უფ-როსის მოადგილის
**ალექსანდრე გრიგოლის-ძე შუბლაძის**
გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმას-კომის მილიციის განყოფილების თანამშრომ-ლები იუწყებიან ამავე განყოფილების უფ-როსის მოადგილის
**ალექსანდრე გრიგოლის-ძე შუბლაძის**
გარდაცვალებას.

მეუღლე ასია, შვილები, რაფიკ, ვალოდია, ლოვა, შუშანა, ძმები მიშა, არტუშა, და ვარ-სენიკა, სიძე ამოტ ოჯახებით იუწყებიან
**პეტრე დავითის-ძე ვართანოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-IX, 8 ს. გამოსვენება 12-IX, 5 ს. აწყურის ქ. № 56.

მეუღლე მარო, შვილები ბუხუტი, დავით, ღუღუნი, მარგალიტა იუწყებიან
**ბიქტორ სისოს-ძე გახარიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ.)

მეუღლე მიხეილ, შვილები მარო, იულია, ოლია, შალვა, გიორგი, რძლები ლილი, სუ-ლიკო, სიძე ხარიტონ უგულავა ოჯახებით იუწყებიან
**ბაბილინე ქაიხოსროს ასულ ულენტი-ჩხეიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, 6 ს. სოფ. ზედა ბზვანში (ვანის რ.)

მეუღლე მარიამ, შვილები ალექსანდრე, დო-მენტი, შალვა, რძლები მათიკო, თამარ, თინა, თამარ ოჯახებით იუწყებიან
**გალაქტიონ ფარსადანის-ძე ომიაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX ქ. გორ-ში. გამოსვენება ბინიდან, ბ. ჯუღაშვილის ქ. № 14.

დედა ოლღა, მეუღლე ევგენია, ძმები გიორ-გი, ივანე, დები ეკატერინე, მარიამ, თამარ, მარგალიტა, რძლები თამარ, ლიზიკო, ვენე-რა, სიძეები ა. აგაბეგოვი, ლ. კილაძე, შ. სვა-ნიძე ოჯახებით იუწყებიან
**ქრისტეფორე დიმიტრის-ძე ჯმუხაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX 4 ს. და-ბა აგარაში (ქარელის რ.)

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონ-დენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03626 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.